ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4014120

ნომერი: AR1597966

თარიღი : 24.05.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 14.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 78;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კეკელია პ/ნ 01001052309
- იპოლიტო ივანოვის 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 მაისს №AR1597966 განცხადებით სხვა თანაგანმცხადებლებთან ერთად მომართა ირაკლი კეკელიამ და მოითხოვა

ამავე სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ. N14, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.033.012), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2017 წლის 14 თებერვლის №3094108 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 14 თებერვლიდან 2019 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 მარტის №3148359 და 2017 წლის 21 აპრილის №3218517 ბრძანებებით, სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გასწორდა ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი - 1339.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობი - 254.0 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 514.7 კვ.მ. საერთო ფართობი - 2309.0 კვ.მ; კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 200.4 კვ.მ, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს მის გასწორებას. კერძოდ, ითხოვს დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი - 1339.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 360.0 კვ.მ. კვ.მ, დამხმარე ფართობი - 162,9 კვ.მ. საერთო ფართობი - 2317.2 კვ.მ, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი. განმცხადებლების მიერ ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 2317.2 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი - 1339.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 360.0 კვ.მ. დამხმარე ფართობი - 162.9 კვ.მ. ასევე, ზემოაღნიშნული ბრძანებებით შეთანხმებული -3.00 და 0.00 ნიშნულების საპროექტო გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული საპროექტო გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3056275 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.